საქართველოს
ფინანსთა სამინისტრო
Ministry of Finance
of Georgia

GRASS REFORMAANDA
ააიპ „საქართველოს რეფორმების ასოციაცია"
წერილის რეგისტრაციის № 8
თარიღი: 2 02 2018 წ.

12938-08-04-2-201802010951

N 08-04/12938
01/02/2018

ა(ა)იპ - „საქართველოს რეფორმების
ასოციაცია"-ს
მის: ქ. თბილისი მიცკევიჩის №27

საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ განიხილა თქვენი (ფინანსთა სამინისტროს რეგისტრაციის №302164/01; 15/12/2017) წერილი და ჩვენი კომპეტენციის ფარგლებში გაცნობებთ, რომ ფისკალური რისკების შეფასებისა და მისი შემდგომი გამოქვეყნების მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო იყენებს სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოდან და სხვა შესაბამისი უწყებებიდან მიღებულ ინფორმაციას სახელმწიფო საწარმოების ფინანსური მაჩვენებლების შესახებ, რომელიც სახელმწიფო საწარმოთა ანალიზის სახით ასახულია ფისკალური რისკების დოკუმენტში და გამოქვეყნებულია ფინანსთა სამინისტროს ვებ გვერდზე.

ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაცია, სახელმწიფო საწარმოების ფინანსური მაჩვენებლების შესახებ, წარმოადგენს საწყის ინფორმაციას, რომელიც არასრულია და მოიცავს მხოლოდ ფისკალური რისკების თვალსაზრისით მნიშვნელოვან საწარმოებს. იგი გამოიყენება კონკრეტული მიზნისთვის და არ არის განკუთვნილი სახელმწიფო საწარმოების სტატისტიკური მონაცემების მომზადებისა და გამოქვეყნებისთვის.

ამასთანავე, გაცნობებთ, რომ მსგავსი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია სხვა შესაბამისი სახელმწიფო ორგანოებიდან, რომელთა მართვაში იმყოფებიან სახელმწიფო საწარმოები.

პატივისცემით,

ბექა ჩხაიძე

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირი

იურიდიული დეპარტამენტი

0114 Tbilisi, გორგასლის ქუჩა 16
ტელ: (+99532) 2261412;
ელფოსტა: info@mof.ge
ვებგვერდი: www.mof.ge

0114 Tbilisi, 16 Gorgasali Street
Tel: (+99532) 2261412;
E-mail: info@mof.ge
Website: www.mof.ge